ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 5-12/167622-16 07 11 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, ბ.ხმელნიცკის ქ. №42-ში, (ნაკვეთი №29/38) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული ავარიული შენობა (№01/2)-ის რეკონსტრუქცია, აღდგენა გაძლიერება) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, ბ.ხმელნიცკის ქ. №42-ში, (ნაკვეთი №29/38) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

შენობის არსებული გაბარიტული ზომები არ ემთხვევა საპროექტოს. ასევე „ბ-ბ" და „გ-გ" ღერძებზე ნაჩვენებია რიგელები, რომლებიც ადგილზე არ ფიქსირდება. შენობაში დამატებით მოწყობილია ლითონის კოჭები. გაზრდილია გადახურვის ფილის სისქე დაახლოებით 0.2 მ-ით. შენობის კარის წინ მოწყობილია ბეტონის საფარი.

„გ-ა" ფასადზე: „გ-გ" ღერძზე გამოსულია კოლონის ნაწილი. აღნიშნულ ღერძთან მოწყობილია სახურავზე ასასვლელი ლითონის კიბე.

„1-8" ფასადზე: პარაპეტთან მოწყობილია წყალგადამყვანი ღიობები. „2-4" და „5-6" მონაკვეთებში ფანჯრებზე მოწყობილია გისოსები. კედელზე ფიქსირდება ლითონის დეტალები.

„8-1" ფასადზე: ფასადზე მოწყობილია საჰაერო ღიობები. „2-1" მონაკვეთში ფიქსირდება გადახურვის ფილის და შველერის ნაშვერი, ასევე ლითონის დეტალი. „5-4" მონაკვეთში ფიქსირდება ლითონის კოჭი.

ფასადებზე ლესვის და ღებვის გარდა შეფრქვეულია ქვიშა-ცემენტის ხსნარი.

სახურავის გეგმაზე შებრუნებულია სახურავის ქანობი. „2-2" ჭრილის ნახაზზე შებრუნებულია ღერძები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სააქციო საზოგადოება „ისანი-ქართუ"-ს ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, ბ.ხმელნიცკის ქ. №42-ში, (ნაკვეთი №29/38) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული ავარიული შენობა (№01/2)-ის რეკონსტრუქცია, აღდგენა გაძლიერება) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/167622-16 17.10.2012წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე შ. შეყვარიშვილი